სამეგრელოს მხარის რელიეფის გეომორფოლოგიური შეფასება

მარიამი შელია

ელ-ფოსტა: Mariam.shelia335@sps.tsu.edu.ge
გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება სამეგრელოს მხარის გეომორფოლოგიურ დახასიათებას და მის კომპლექსურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ ანალიზს. მასში განხილულია მხარის გეოგრ-აფიული მდებარეობა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრები და ბუნებრივი გარემოს ფორმირებაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კლიმატურ, გეოლოგიურ და გეომორფოლოგიურ პირობებს და ჰიდროგრაფიულ ქსელს, რომლებიც მნიშვნელოვნად განაპირობებს მხარის ეკოსისტემურ თავისებურებებს.

ნაშრომში ასევე აღწერილია სამეგრელოს რელიეფის ტიპები - დაბლობი, ბორცვიანი და გორაკ-ბორცვიანი ზონები და ნიადაგთა გავრცელების ძირითადი სტრუქტურა. ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა რეგიონის გეოლოგიური აგებულებისა და ტექტონიკური სტრუქტურის განხილვას, სადაც გაანალიზებულია კოლხეთისა და შავიზღვიპირეთის ზონის სტრუქტურული თავისებურებები. ტექტონიკურ პირობებთან ერთად შეფასებულია სეისმური აქტივობა და ჰიდროგეოლოგიური პირობები.

ნაშრომში გაანალიზებულია თანამედროვე გეოდინამიკური პროცესები, მათ შორის მეწყერი, მდინარეთა ნაპირების გარეცხვა (ეროზია), ღვარცოფი, კლდეზვავი და ქვათაცვენა. კვლევის მიზანია სამეგრელოს მხარის ბუნებრივი პირობების კომპლექსური შეფასება და მათი სივრცითი ანალიზი.